№ 159 მთავრობის მოამგე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, ივლისის 18 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვაღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს მიმდინარე წლის ივლისის 19-ს ამავე ერობის ხმოსანთა მორიგი მეხუთე) ყრილობას. განსახილველი საკითხები:

1) მოხსენება გამგეობისა წასული წლის მოქმედების შესახებ.

2) 1920 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

3) მუხიანის, მუხაყრუის და დიდი-ჯიხაიშის უბნების მომრიგებელ-მოსამართლეთა არჩევა.

4) წვრილი ერთეულები.

5) სესხის აღება.

6) გამგეობის წევრის არჩევა.

7) მიმდინარე საკითხები.

ყრილობა გაიხსნება ზემოხსენებულ რიცხვს დილის 10 საათზე ერობის ბინაზე.

723 6—5 ერობის გამგეობა.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დეპარტამენტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 18 ამა ივლისიდან უქმდება არსებული და ძალაში შედის მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი სააფთიაქო ნიხრი. 1855 3—3

ამით ცხადდება რომ გიაურ არხის სახელმწიფო მამულების კანტორასთან 1920 წ. ივლისის 25-სთვის დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

არამიანცის ყოფილი მამულის ხილის ბაღის მოსავალზე და გიაურ-არხის ვენახის ბაღზე. პირობების გაგება შეიძლება აღნიშნულ კანტორაში და მიწათ-მოქმედების სამინისტროში.

1—1 1885

1-ლი ქვეითა რაზმი ეძებს

სამნეო ნაწილის კანცელარიაში ნამყოფ გამოცდილ მწერალს

ან ყოფილ საქმის მწარმოებელს. პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 9—2 საათამდეს—რაზმის შტაბში, ქ. ქუთაისში. 761 3—1

საქართველოს მუზეუმის შენობისათვის

საჭიროა ადგილობრივი ხმელი ხე ტყე (ფიცრები, კოჭები, სამოაჯირეები და სხ,) 8.000 კვადრატულ ვერშოკამდის და ასტრახანის ხე-ტყე კარებისა და ფანჯრებისათვის 1.000 კვ. ვერშოკამდის.

დაწვრილებითი ცნობები მასალების და მოტანა დაწყობის პირობების შესახებ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ დღესვე კომისიის კანცელარიაში (ლორის მელიქის ქუჩა 10) დილის 10—2 საათამდის. 763 1—1

საქართველოს სახელმწიფო ბანკი

გაიხსნება 24 ამა თვეს. თხოვნები კრედიტის გახსნის შესახებ მიიღებიან ამავე თვის 21-დან.

1880 1—1 ბანკის მმართველი **ილ. ლორთქიფანიძე**

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

შინაგან საქმეთა მინისტრისა.

1 ივლისი, 1920 წ. № 47.

ინიშნება: მოქალაქე დავით გრიგოლის ძე ელიავა განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელეთ შინაგან საქმეთა მინისტრთან.

შინაგან საქ. მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

მიწათ მოქმედების მინისტრისა.

29 ივნისი, 1920 წ., № 213.

დანიშნა: ყოფილი საქმის მწარმოებელი გადასახლების განყოფილებისა ნიკოლოზ ევსევის ძე ფანცხავა მესამე კატეგორიის ბუხჰალტერის თანამდებობაზე ამავე განყოფილებაში 1 ნოემბრიდან 1919 წლ.

30 ივნისი, 1920 წ., № 214.

ინიშნება: დავით გოგოლაშვილი ტფილისის სააბრეშუმო სადგურის მიკროსკოპისტათ ამა წლის ივნისის 25-დან.

30 ივნისი, 1920 წ. № 215.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: საინსპექტორო განყოფილების გამგე გ. ნ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, თანახმად თხოვნისა ამა წლის პირველ ივლისიდან.

ინიშნებიან: მინისტრის საბჭოს მდივანი ანტონ ალექსის ძე სვანიძე საინსპექტორო განყოფილების გამგეთ და საინსპექტორო განყოფილების საქმის მწარმოებელი მელქისედეკ ბესარიონის ძე გელოვანი მინისტრის საბჭოს მდივნათ, ორივე 1 ივლისიდან.

№ 216.

ინიშნება: ალექსანდრე ვასილის ძე ბაბუნაშვილი სამინისტროს ბუხჰალტერიაში მოანგარიშეთ 15 ივნისიდან.

№ 217.

დაინიშნა: მელქისედეკ (ექვთიმე) ისაიას ძე კალანდაძე ბორჩალოს მაზრის საგადასახლებო საქმის სარაიონო გამგის თანაშემწედ ამა წლის 28 ივნისიდან.

2 ივლისი, 1920 წ., № 218.

გადაყენებულია თანამდებობიდან: ქუთაისის რაიონის ინჟენერ-ჰიდრავლიკი ანტონ ჯაფარიძე მის შესახებ აღძრულ საქმის გამოძიებამდე.

6 ივლისი, 1920 წ., № 219.

ინიშნება: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის გამგეთ ივანე ილიას ძე წერეთელი ამა წლის 15 ივნისიდან.

№ 220.

დათხოვნილია: სახელმწიფო მამულთა განყოფილების საქმის მწარმოებელი გიორგი თადეოზის ძე დეკანოზიშვილი ამა წლის ივლისის 5-დან, თანახმად მისი თხოვნისა.

დანიშნულია: იმავე განყოფილების საქმის მწარმოებელად შალვა გიორგის ძე ავალიშვილი ამა წლის ივლისის 5-დან.

6 ივლისი, 1920 წ., № 221.

ინიშნება: ალექსანდრე ივანესძე ხირსელი ყარაიაზის სარაიონო საგადასახლებო საქმის გამგის თანაშემწედ ამა წლის ოცდაათ ივნისიდან.

7 ივლისი, 1920 წ., № 222.

დათხოვნილია: სახელმწიფო მამულების აგენტი მიხეილ თომას ძე სიდოროვი ამა წლის მკათათვის 1-დან.

№ 223.

ინიშნება: ყოფილი ტყის გამგის თანაშემწე ვ. ს. ქუთათელაძე პირველ ხარისხის ტყის გამგის თანაშემწედ.

7 ივლისი, 1920 წ., № 224.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ტყის გამგეს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. ს. გაზალაშაილი, თანახმად მისივე თხოვნისა, ავადმყოფობის გამო 22 აპრილიდან 1920 წ.

ინიშნება: ბ. ა. ჯიბუტი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 225.

დათხოვნილია: სახელმწიფო მამულთა განყოფილების საქმის მწარმოებელი შალვა ნიკოლოზის ძე ბუაჩიძე ამა წლის ივლისის 7-დან, თანახმად მისი თხოვნისა.

№ 226.

ინიშნება: მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტში დემოგრაფიულ განყოფილების გამგის თანამდებობაზე ნიკოლოზ ვასილის ძე ივანოვი ამა წლის 16 ივნისიდან.

№ 227.

ინიშნება: მიხეილ დავითის ძე ციმაკურიძე სასოფლო მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორად ამა წლის ივლისის 1-დან.

10 ივლისი 1920 წ., № 228.

ევალება: მიწათ-მოქმედების სამინისტროს უფროს სპეციალისტ აგრონომ ერ. ნაკაშიძეს სახელმწიფო მამულების განყოფილების გამგის თანაშემწის მოვალეობის აღსრულება, ამ თანამდებობისთვის დაწესებულ ჯამაგირის მიცემით, ამა წლის 1 ივნისიდან.

9 ივლისი, 1920 წ. № 229.

ინიშნება: კონსტანტინე ერაზმის ძე ჟაბოკლიცკი წყალთა სამმართველოში ტექნიკის თანამდებობაზე ამა წლის 1-ლ ივლისიდან.

1 ივლისი, 1920 წ., № 230.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის-მზომლის თანამდებობაზე შტატს გარეშე გრიგოლ ლაზარეს ძე გრიგორიანცი ამა წლის 26 ივნისიდან.

10 ივლისი, 1920 წ., № 231.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ვ. ს. მასლოვი ტყის გამგის თანაშემწე, თანახმად მისივე თხოვნისა, 11 მკათათვიდან 1920 წ.

№ 232.

დათხოვნილია: წამლეულობის მცენარეთა სპეციალისტი სოხუმის საცდელ სადგურის გამგის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი ი. მუშინსკი ამა წლის ივლისის 1-დან, მისი თხოვნის თანახმად.

10 ივლისი, 1920 წ. № 233.

გადაყვანილია: გადასახლების განყოფილების მე-3-მე რიგის ბუხჰალტერი ნიკოლოზ ევსევის ძე ფანცხავა სამინისტროს ბუხჰალტერიაში მეორე რიგის ბუხჰალტრად 10 ივლისიდან.

13 ივლისი, 1920 წ., № 234.

დანიშნულია: სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში, ექიმი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ნემსაძე კონსულტანტათ-ბალნეოლოგად ამა წლის 1 ივლისიდან.

დანიშნულია: სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილების რეგისტრატორათ ოლღა მიხეილის ასული მამულაშვილისა ამა წლის 25 ივნისიდან.

№ 235.

დანიშნულია: ბორჯომის სახელმწიფო მამულის გამგის თანაშემწეთ ივანე ივანეს ძე ეძგვერაძე ამა წლის 13 ივლისიდან.

14 ივლისი, 1920 წ., № 236.

დანიშნულია: ჩაქვის სახელმწიფო მამულთა მოურავათ ნიკოლოზ ანტონის ძე აღნიაშვილი ამა წლის 13 ივლისიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

გორის ქალაქის მილიციისა. დამატება № 5.

№№ რიგზე.	თანამდებობათა და გასაწევი ხარჯის სახელწოდება.	თანამდ. პირ. რიცხვი.	თვიური ჯამაგირი.		ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან ივნის. 1-დე.
			თვითეულს.	ყველას.	
1	მილიციის უფროსი	1	2520	2520	12600
2	თანაშემწე	3	2240	6720	33600
3	საქმის მწარმოებელი	1	1900	1900	9500
4	რეგისტრატორი	1	1500	1500	7500
5	მანქანით გადამწერი	1	1300	1300	6500
6	შიკრიკი	1	1100	1100	5500
7	უფროსი მილიციელი	4	1600	6400	32000
8	უმცროსი მილიციელი	53	1500	79500	397500
9	ბინის დაქირავება	—	—	250	1250
10	გათბობა-განათება	—	—	700	3500
11	საკანცელარიო ხარჯი	—	—	500	2500
12	მიმოსვლის ხარჯი	—	—	600	3000
	სულ	65	—	102990	514950

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

დამფუძნებელი კრება.

16 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონისა მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადების შესახებ.

შელ. რუსიას (თვითმარ. კომ.) და **დ. ოქიაშვილის** (საბიუჯეტო-საფინას. კომ.) მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქალაქ ფოთში მდინარე რიონის ჩრთილოეთის ტოტზე ხიდის გასაკეთებლად 14,700,000 მან. გადადებისა.

ივ. გომართელის მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილების საპროტეზო სახელოსნოს შტატისა და ჯარჯთ აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ზოგადი განხილვა სახელმწიფოს 1919—1920 წლის ბიუჯეტის პროექტისა.

გრ. გიორგაძე (სამ. საფ. კომ.) მოქალაქენო, დამფუძნებულ კრების წევრნო! დღეს დამფუძნებელი კრება იხილავს სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვას, ბიუჯეტს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დამფუძნებელი კრება ამ დიად მნიშვნელოვან აქტის განხილვას იწყებს. და სწორედ ის, რომ ბიუჯეტს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის გვავალებს მიუდგომლად ავწონ-დავწონოთ მთელი ის გეგმა, რომელიც წარმოდგენილი არის, და ობიექტიურათ დავაფასოთ მთელი შინაური და საგარეო პოლიტიკა. ბიუჯეტი არის სახელმწიფოს მეურნეობის გეგმა, რომელიც დამყარებულია კანონმდებლობითი გზით. ბიუჯეტი არის დროებითი და ამ მხრივ წარმოდგენილი ბიუჯეტი დაგვიანებული არის, მაგრამ ამ დაგვიანებას ფრიად მნიშვნელოვანი გასამართლებელი საბუთი აქვს. ამ განვლილ წლის განმავლობაში გვიხდებოდა ბრძოლა, როგორც შინაურ მტრის წინააღმდეგ, აგრეთვე თავს ვიცავდით გარეშე მტრისაგან. და ეს არის უმთავრესი მიზეზი ბიუჯეტის დაგვიანებისა. ნორმალურ პირობებშიაც კი იმ სახელმწიფოებში, სადაც სახელმწიფოებრივი აპარატი კარგა ხნის მოწყობილი არის, უგვიანდებათ ბიუჯეტის შედგენა. თვით ცხოვრების პირობები ისეთია, რომ ყოველთვის აგვიანებს ბიუჯეტს და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ მთავრობას მივეცით უფლება ბიუჯეტის ფარგლებში განსაზღვრულ ფულის დახარჯვის. ეს დებულება დამტკიცებულ უნდა იყოს, რომ მთავრობას უფლება ჰქონდეს ბიუჯეტის მიღებამდე ხარჯოს ფული წინასწარ, მხოლოდ ეს გატარებულ იქნას კანონმდებლობის გზით. როდესაც საფინანსო კომისია შეუდგა წარმოდგენილ ბიუჯეტის განხილვას, ერთი აშკარა გახდა ჩვენთვის. მრავალი ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები არ იყო შეტანილი ბიუჯეტში. ჩვენ შევეცადეთ მთლიანობა დაგვეცვა და ყოველივე შემოსავალ-გასავალი შეტანილ ყოფილიყო, მაგრამ დღევანდლამდე ერთი უწყების ხარჯთ-აღრიცხვა არ არის შეტანილი. ეს არის მომარაგების სამინისტრო. ის ახალი დაწესებულება არის და დროზე ვერ მოასწრო ამ უწყებამ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მაგრამ იქ უკვე სწარმოებს მუშაობა და სანამ დამფუძნებელი კრება ბიუჯეტს მუხლობრივათ განიხილავს, მომარაგების სამინისტრო წარმოადგენს შტატებს. რაც შეეხება მომარაგების სამინისტროში წარმოებულ ოპერაციებს, ეს უკვე ხელთა გვაქვს. გარდა ამისა მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ საფინანსო კომისიის მუშაობა ძნელდებოდა მით, რომ სანამ ის განიხილავდა ამა თუ იმ შტატს და აპირებდა მის დაწერას და დამზადებას საკანონმდებლო ორგანოსათვის, ცხოვრება სისწრაფით მიექანება და ეს შტატები და მისი ხარჯები სულ სხვა სახეს იღებენ. საფინანსო კომისიამ გადასწყვიტა შეჩერდეს ერთ დატაზე ეს არის 1920 წ. პირველი იანვარი. ის მომენტი, რომელიც იყო პირველ იანვრამდე მიღებულია მხედველობაში, პირველ იანვრის შემდეგ კი რა ცვლილება მოხდა ეს არ არის შეტანილი ბიუჯეტში.

ერთი ნაწილი ბიუჯეტისა უკვე აღსრულებულია, მხოლოდ მეორე ნაწილს ბიუჯეტისას აქვს ნამდვილი ბიუჯეტის მნიშვნელობა. არ არის სასურველი, როდესაც ბიუჯეტს აღსრულებითი ხასიათი აქვს. მომავალში უნდა მაინც ვეცადოთ, რომ ბიუჯეტი წინასწარ დგებოდეს.

სხვა ქვეყნის ბიუჯეტებში არის განყოფილებები: ჩვეულებრივი ხარჯები და არა ჩვეულებრივი. როდესაც ამშენებლობითი მუშაობა სწარმოებს ძნელია ხაზის გავლება და განსაზღვრა რა არის ჩვეულებრივი ხარჯი და რა არის არა ჩვეულებრივი. ეს მომავლის საქმეა და ჩვენ ბიუჯეტშიაც იქნება მერე ასეთი განყოფილებები. ან ქამად კი ეს არ არის. შემდეგ ამისა მომხსენებელი ეხება იმ საკითხს, აქვს თუ არა უფლება დამფუძნებელ კრებას ბიუჯეტის უარყოფისა. მას მოჰყავს სხვა და სხვა მეცნიერთა აზრები და დაასკვნის, რომ კანონმდებლობით ორგანოს აქვს უფლება არა მარტო შესწორებები შეიტანოს ბიუჯეტში; არამედ სრულიად უარჰყოს კიდეც.

უნდა აღნიშნულ იქნეს ავრეთვე ის თუ რა უფლება ექნება მთავრობას ბიუჯეტის აღსრულების დროს.

მთავრობა ყოველივე კაპეიკისათვის დამფუძნებელ კრებაში ვერ შემოვა.

უნდა დაკანონდეს, რომ მთავრობას შეუძლიან ერთ მუხლში აღნიშნული ფული მეორეს მოახმაროს და შემდეგ შეავსოს იმ მუხლიდან, რომელზედაც დახარჯული იქნება ფული. დღეს ისეთი მდგომარეობა გვაქვს, არის ისეთი მომენტები, როდესაც ერთ საათსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და შეიძლება დაგვიანდეს კიდეც ამა თუ საჭირო ნაბიჯის გადადგმა კანონმდებელ ორგანოს დასტურამდე. მაგრამ აქვე უნდა დაუმატოთ, რომ მთავრობა ვალდებულია პირველ სხდომაზევე მოახსენოს საკანონმდებლო ორგანოს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯები და დასტური მიიღოს. წარმოდგენილი ბიუჯეტი არის 1919—1920 წლის. საჭიროა გადავთვალიეროთ წარსული წელი და გავითვალისწინოთ რა გზით მივდივართ, როგორია მომავალი ჩვენი პერსპექტივა. მთელი გასავალი სახელმწიფოსი არის 1,960,490,798 მან. შემოსავალი ნავარაუდევია 1,163,564,485 მან.

განსხვავება შემოსავალს და გასავალს შორის განზრახულია დაიფაროს მთავრობის სამეურნეო ოპერაციებით 1918 წლის წარმოდგენილ ბიუჯეტთან. ეს ბიუჯეტი გადიდებულია 150 პროცენტით. ეს გადიდება საგრძნობია, მაგრამ არც ძლიერ დიდია. რუსეთის 1917 წ. ბიუჯეტი, 18 წ. 200% გადიდდა. რაკვირველია ხარჯები კვლავ იზრდება და ჩვენი ცდა იქითკენ უნდა იყოს მიმართული,რომ გამოვნახოთ ის საშუალებები, რითაც შესაძლებელ იქნება ხარჯების დაფარვა. ჩვენს ბიუჯეტზე დიდი ვავლენა ჰქონდა გარეშე პირობებს. თავდაცვის საჭიროება, სახელმწიფოს ახალი ორგანიზაციების შექმნა ყოველივე ეს ზრდიდა ჩვენ გასავალს. მთავრობას ბოლო ხანებში თავის თავზედ რომ არ მიეღო მუშა მოსამსახურეებისათვის სანოვაგის მიწოდება ჩვენი ბიუჯეტი კიდევ გაიზრდეაა იაფი პურის მიცემამ საშუალება მოგვცა შედარებით ნორმალურ პირობებში ყოფილიყო ჩვენი ბიუჯეტი. უწყების მხრივ ყველაზე მეტი იხარჯება თავდაცვის საჭიროებისათვის ბიუჯეტის 27 ნახ. პროცენტი. მეორე ადგილი უჭირავს გზათა უწყებას—22 პროცენტი. მესამე ადგილი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, მერე შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებას და სხვა. საფინანსო კომისია არ არის მომხრე ბიუჯეტის მილიტარიზაციის, მაგრამ როდესაც ჩვენ თავს გვესხმიან, იძულებულ ვხდებით დავიცავთ თავი. სულ სხვა არის როდესაც სახელმწიფო აწარმოებს აგრესიულ პოლიტიკას, მაგრამ ჩვენ კი ვაწარმოებთ თავდაცვითი პოლიტიკას როგორც მთავრობა, აგრეთვე სამხედრო კომისია იმ აზრს იზიარებდენ, რომ ნაკლები ფული დახარჯულიყო სამხედრო საჭიროებაზე. ამ მიზნით მოხდა ჯარის რეორგანიზაცია, მაგრამ მალე ცხოვრებამ ისეთი პრობლემები წამოგვიყენა, რომ სამხედრო უწყების ხარჯი გაიზარდა. როდესაც ჩვენი ქვეყანა იურიდიულათ ცნობილ იქნება, როდესაც ჩვენი ნეიტრალიტეტი უზრუნველ ყოფილ იქნება, მაშინ გადავალთ მილიციურ სისტემაზე, რაც ნაკლებ ენერგიას მოითხოვს. შეიძლება ასეთი მომენტი მალე დაგვიდგეს და საბიუჯეტო კომისია ფიქრობს, რომ კარგი იქნება თუ საზღვარ გარეთ გავგზავნით მხედრებს სამილიციო სისტემის შესასწავლად. საფინანსო კომისიის სახელით ვაცხადებ, რომ ის თანხა რომელიც დაიხარჯა ჯარზე და გვარდიაზე ნაყოფიერი გამოდგა. მიუხედავათ იმისა, რომ ბევრნი ცდილობდენ ჩვენ მხედრობაში დეზორგანიზაციის შეტანას, ეს მათ ვერ შესძლეს და ჩვენი ჯარი და გვარდია კვლავაც პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას. თუ ჩვენ ბიუჯეტს განვიხილავთ საგნობრივათ, მაშინ ნათელი იქნება ჩვენთვის რომ ყველაზე მეტი თანხა ხმარდება კულტურულ, საამშენებლო საქმეს და თავდაცვითი საჭიროებას მხოლოდ მეორე ადგილი უკავია. 50 პროცენტი ხარჯებისა ხმარდება კულტურულ, საამშენებლო საქმეს. 27 პროცენტ. თავდაცვის საჭიროებას, 15 პროცენტი მართვა გამგეობას, და 8 პროცენტი არა ჩვეულებრივი ხარჯებია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ შემოსავალი გაუთანასწორდეს ხარჯებს. უნდა გავითვალისწინოთ 1918 წ. ხარჯები, გამოვარკვიოთ რას ემსახურებოდა ეგი, რა იყო ჩვენი შინაური და საგარეო პოლიტიკა. შინაური ჩვენი მართვა გამგეობის ხასი აშკარა და გარკვეულ არის. ეს არის ის. რომ შეიქნას ძლიერი მართვა-გამგეობა, რომელიც ერთის მხრივ გაამტკიცებს დემოკრატიულ პრინციპებს და მეორეს მხრივ დამცველი იქნება ამ პრინციპების. მეორეს მხრივ ჩვენი მუშაობა მიმართულია და ამ მხრივ: რომ გამაგრება მუნიციპალურ ორგანოების და მასზე დაყრდნობა, უზრუნველყოფა გლეხობისა მიწით, შრომის უზრუნველყოფა. მთელ ამ პოლიტიკას დაცვა ესაჭიროვებოდა და როდესაც ჩვენ ქვეყანას საფრთხე მოელოდა შიგნიდან და გარეშე მტრისაგან, ყოველთვის ვიგერიებდით მტრებს, რაც თქვენ არა ერთხელ თვით აღგინიშნავთ. ბევრია გაკეთებული ბევრი გასაკეთებელია, ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთ ცოცხალ, მოძრავი ორგანიზმს არ ჰქონდეს დეფექტები, ამ მხრივ ბევრი მუშაობა მოგვიხდება, ბევრი მოქალაქე და მოხელე არ სდგას თავის სიმაღლეზე, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას პირნათლად. ჩვენ შევეცდებით დეფექტები გამოსწორდეს, მაგრამ საერთოდ რომ ჩვენი ხაზი სწორია ამაში ყველა დამენთანხმება. ამ ხაზმა მოგვაპოვებინა საგარეო გამარჯვება, შინაგან მართვა გამგეობის სიმტკიცე ჩვენ ხომ არ გვქონდა, ჩვენ რომ ასე მტკიცეთ არ დაგვეცვა ჩვენი დამოუკიდებლობა, მას სხვები არ იცნობდენ. ჩვენ ვიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას, სხვის საქმეში არ ვერევით, ჩვენსაში არვის ურევთ. ამ ხაზის გამარჯვება მოწმობს მას, რომ ჩვენ კარგ პოლიტიკას ვაწარმოებთ.

ჩვენი შემოსავალი დამყარებულია, როგორც პირდაპირ ისე არ პირდაპირ გადასახადებზე. ჩვენ ვიცით უვარგისობა არა პირდაპირ გადასახადისა, მაგრამ ძველის სისტემის შეცვლა ახალ სისტემაზე უცბად ძნელი არის. ჩვენ მომხრეც ვართ შემოღებულ იქნას გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, მაგრამ ამის განხორციელება არც ისე ადვილია. ჩვენ მივიღეთ ზომები რომ არა პირდაპირი გადასახადი პირველ საჭიროების საგნებზე ნაკლები ყოფილიყო. შემდეგ ამისა მომხსენებელი ეხება იმ შემოსავალს, რომელსაც სახელმწიფო მიიღებს სამეურნეო ოპერაციებიდან, იმ ოპერაციებს. რომელიც უწარმოვებია მომარაგების სამინისტროს წმინდა მოგება მიუცია სახელმწიფოსათვის 284 მილ. მან. და აშკარაა, რომ ეს მოგება უფრო გაიზრდებაო. სახელმწიფომ რაც გინდა გააუმჯობესოს გადასახადის სისტემა, ის თავის ხარჯებს ვერ დაფარავს თუ არ შესდგება იმ გზაზე, რომელსაც ყველა სახელმწიფო დაადგა. ეს არის ის, რომ რამდენათაც შეიძლება წარმოება სახელმწიფომ თავის ხელში უნდა აიღოს. დიდი მომზადება არის საჭირო, რომ მთელი წარმოება სახელმწიფოს ხელში იყოს ნაწილობრივ კი ახლაც უნდა აიღოს ხელში სახელმწიფომ. მთავარი პრინციპი უნდა იყოს ის, რომ მოგება არ ვასცილდეს საშუალო მოგებას, სახელმწიფო არ უნდა ჩაებას სპეკულიანტთა ფერხულში, მან არ უნდა დაისახოს მიზნად უსაზღვრო მოგება. შემდეგ მომხსენებელი ეხება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს. ჩვენ გვაქვს, ამბობს მომხსენებელი, ისეთი რამ, რაც ოქროზე ძვირია. ეს არის სავალიუტო საქონელი, რომელსაც საჭიროებს მთელი კაცობრიობა. ამ მხარეს უნდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება, რომ სავაჭრო ბალანსი შეიქნეს აქტიურ ბალანსათ და შევეცადოთ, რომ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე არ შეიქნეს უცხოელების საწველ ფურად. ჩვენ უნდა შევეცადეთ, რომ ნედლი მასალა აქვე დამუშავდეს. ვაჭრობის მხრივ ჩვენი მდგომარეობა ასეთია. 1919-1920 წლ. განმავლობაში ჩვენი ბალანსი ნახევარი პასიური იყო. 1919 წ. პირველ მაისიდან 1920 წლის მაისამდე, როდესაც სახელმწიფო შესდგა მონოპოლიის ნიადაგზე, თქვენ დაინახავთ, რომ პასიური ბალანსი ერთ მესამედს უდრის. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმას, თუ რა წესით უნდა სწარმოებდეს სავალიუტო საქონლის უცხოელებზე გაყიდვა და დასკვნის, რომ სავალიუტო საქონელში ფულს ჩვენი ბონებით უნდა მოვითხოვდეთ, ამით ჩვენი ბონების კურს ავწევთ, რადგანაც საქონლის მყიდველნი იძულებულნი იქნებიან ჩვენი ბონები შეიძინონ. მე მსურს დასასრულ ყურადღება მივაქციო კიდევ ერთ გარემოებას. არ მახსოვს, რომელმა დეპუტატმა ვგონებ შინგარიოვი იყო, რუსეთის ბიუჯეტის განხილვის დროს სთქვა: ჩვენი საუკეთესო ფინანსთა მინისტრი ეს მოსავალი არისო. ამ მხრივ უნდა აღვნიშნო, რომ წელს პური საკმარისი მოვა, ძლიერ ცოტა დაგვჭირდება უცხოეთიდან პურის შემოტანა.

უნდა მიექცეს ყურადღება ნაციონალურ მამულების დამუშავებას. არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც არ ეზიდებოდეს თავის ქვეყანაში საქონელს, მაგრამ ჩვენ ამ მხრივ მით განვირჩევით, რომ აქ უმეტესათ ფუფუნების საგნები შემოაქვთ. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ბაქები ამ საგნების შესახებ, მე ვფიქრობ, რომ ფუფუნების საგნების შემოტანა სრულიადაც უნდა აიკრძალოს. ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ექსპორტს აგრეთვე იმპორტს, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ ის საქონელი, რომელიც შემოდის აქ, უშუამავლოდ მოჰქონდეთ, სპეკულიანტებს არ უვარდებოდეთ ხელში. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბათომის შემოერთებით საქართველოს უფრო ფართო პერსპექტივები უდგება წინ და მისი ეკონომიური მდგომარეობა მტკიცე ნიადაგზე სდგება.

თანახმად რეგლამენტისა დამფუძნებელი კრება სწყვეტს კამათს ბიუჯეტის შესახებ და გადადის ესერების შეკითხვაზე, რომლის განხილვა 11 ივლისის სხდომაზე არ დასრულდა.

გრ. ცინცაბაძე ეხება რა ესერების შეკითხვას აღნიშნავს, ადმინისტრაციას რომ დეფექტები აქვს ეს ყველამ კარგად იცის. მაგრამ შეკითხვას მაშინ ექნებოდა ფასი, თუ რომ მთავრობა ბოროტ-მომქმედ ადმინისტრატორებს არ დასჯიდა. ბორჩალოს მაზრაში 17 მეტი კომისარი არის გადაყენებული, მრავალი მილიციონერი პასუხის გებაში არის მიცემული. ორატორი ეხება რა ესერების მოღვაწეობას, აღნიშნავს რომ მათი ლიდერი ვ. ლორთქიფანიძე აფხაზეთში ყოფნის დროს ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე და ხშირად არა საკადრის საშვალებებით ცდილობდა თავის პარტიის გაძლიერებას. ხსნიდენ ეგრედ წოდებულ მკვდარ საავადმყოფოებს, ურიგებდენ ხალხს სურსათს მომარაგების სამინისტროდან მიღებულს და ამასთანავე ეუბნებოდენ ეს სუსრათი ესერების პარტიამ გამოგიზავნათო. შემდეგ ორატორი ეხება ბორჩალოს მაზრის მდგომარეობას აღნიშნავს, რომ იქ ყრილობა „შეჩერებული იქმნა გენერალ-გუბერნატორის მიერ, მიტომ რომ მახლობლათ ფრონტი იყო, სამხედრო წესები იყო გამოცხადებულიო. და როდესაც საქმის ვითარება გამოირკვა ყრილობა გაგრძელებულ იქმნა ორატორი უსაყვედურებს ესერებს, რომლებიც წარა მარა ასეთ შეკითხვების შემოტანით საუკეთესო სადემაგოგიო მასალას აძლევენ საქართველოს მტრებს. ესერებს სჩვევიათ თავიანთ დროშის ტრიალი იქ სადაც ჩამორჩენილი კუთხე არის. და ამიტომაც ცდილობენ თავიანთ გავლენის მოპოვებას ბორჩალოში. სამი საათის შესრულების გამო სხდომა გადაიდო. გადაწყა ჩვეულებრივ სხდომების გარდა, დაინიშნოს ხუთშაბათს საგანგებო სხდომა ბიუჯეტის განსახილველად.

უცხოეთი

გერმანია და იაპონია.

„ბერლინერ ცაიტუნგი“ ბეჭდავს იაპონიაში მყოფ გერმანიის ელჩ ზოლფთან საუბარს გერმანია-იაპონიის დამოკიდებულების შესახებ. ბ. ზოლფმა სთქვა: ჩემი დანიშნვის შემდეგ მე ბერლინში ვესაუბრე იაპონიის წარმომადგენელს და იმ დასკვნამდე მივედი, რომ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს იაპონიასა და გერმანიის შორის მეგობრულ განწყობილების დასამყარებლად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იაპონიამ დაიკავა შატუნგი. ეხლა მზათ არის ნიადაგი კულტურულ და ეკონომიურ დამოკიდებულებისთვის. იაპონიაში გაემგზავრა რამდენიმე მისია, მათ რიცხვში სამრეწველო და სამეცნიერო.

გერმანია და სპარსეთი.

„ბერლინერ ტაგებლატი“ იუწყება, რომ თავრიზში გერმანიის ელჩს თვით კი არ მოუკლავს თავი, არამედ იგი მოჰკლეს. გერმანიის საელჩოს სახლზე სროლას ის უწოდებს პროვოკაციას და აღნიშნავს, რომ თავრიზში ინგლისთან შეთანხმების საწინააღმდეგო ძლიერი მიმდინარეობა არსებობს. გაზეთის ცნობით, გერმანიის საელჩოს შენობაში ადგილობრივი ბოლშევიკები კი არ იყვნენ, არამედ ის პირნი, რომელთაც ბრალი ედებათ ოსმალეთის ნაციონალისტებთან ფარულ შეთანხმებაში. გაზეთი იმ დასკვნამდე მიდის, რომ აქ დაზარალდა მხოლოდ სპარსეთის ინტერესებიო.

საბერძნეთის ჯარი

საბერძნეთის ჯარმა მარმარილოს ზღვაზე კუნძული მარმარი დაიკავა. დროებითი გამგეობლობა დაევალა ფრიკოსიის მიტროპოლიტს.

საფრანგეთი და რუსეთი.

გაზეთი „მატენი“ იუწყება, რომ საფრანგეთის რკინის გზებზე მომუშავეთა ჯგუფმა გადაწყვიტა რუსეთში მოაწყოს ფრანგ. მუშათა კოლონია, ამ მიზნით მათ კრასინს მიმართეს. ამის საპასუხოთ კრასინმა აცნობა. საფრანგეთის მუშების სინდიკატის მდივანს, რომ არსებითად მას არავითარი პასუხის მიცემა არ შეუძლია, სანამ მოსკოვიდან არ მიიღებს საერთო პოლიტიკურ სახელმძღვანელო აზრებს. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა პოლიტიკური კურიერი უკვე გამომგზავრებულია ლონდონისკენო.

ლიტვინოვი.

ლიტვინოვი საბჭოთა მთავრობის სახელით კოპენჰაგენში მოლაპარაკებას განაგრძობს. შვეიცის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ამ მოლაპარაკების შედეგი იქნება რუსეთთან სატელეგრაფო დამოკიდებულების განხლება ჩრდილოეთის დიდი კაბელის საშუალებითო.

შაქარი მსოფლიო ბაზარზე.

„ლინფორმასიონი“ არკვევს შაქარის თადარიგს მსოფლიო ბაზარზე, რაც მისი გამოანგარიშებით უდრის 70—75% იმ შაქრის თადარიგისას, რომელიც ომის დაწყებამდე არსებობდა. ინგლისის მიერ შესყიდულ შაქრის რაოდენობა არ აღემატება 2/3 წინად შესყიდულ რაოდენობისას. ევროპის ქვეყნები ყველა ზომებს ღებულობენ ჭარხლის შაქრის წარმოების გასაძლიერებლად. ერთი დიდი დაბრკოლება, რომელიც ამას წინ ეღობება არის საჭირო ნაყოფიერების უქონლობა, რომლის მაგვრადაც სუროგატების ხმარებას მიმართავენ.

საბერძნეთის ინტელიგენცია

საბერძნეთის ინტელიგენციამ საბერძნეთის ხალხს მიმართა მანიფესტით, სადაც ის მოითხოვს მთავრობისაგან ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიას და აღნიშნავს ვენიზელოსის მთავრობის გადადგომის აუცილებლობას ოსმალეთთან ამ მეხუთე ომის დასრულების შემდეგ და პარტიის გარეშე მდგომ საქმიან კაბინეტზე ძალა-უფლების გადაცმას. ამავე მანიფესტში აღნიშნულია საბერძნეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის მოსამზადებელ მუშაობის დაწყების საჭიროება.

ინტერნაციონალური კომისია.

პრაგაში შესდგა დ. ელბის საექსპლოატაციო ინტერნაციონალური კომისიას პირველი სხდომა. ამ კომისიაში წარდგენილი იყო საფრანგეთი, ინგლისი, ბელგია, იტალია, გერმანია და ჩეხო-სლოვაკია. კომისიის თავმჯდომარეობდა ბ-ნი ბენე, რომელმაც განაცხადა, რომ თავისუფალი ჩეხო-სლოვაკია წინადადებას იძლევა მოეწყოს მდ. ელბით მიმოსვლა ჩრდილოეთ და აგრეთვე ბალტიისა და შავ-ზღვასთან. ბენემ განაცხადა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა იძლევა თავისუფალი ტრანსპორტის ყველა საჭირო გარანტიას, ხალხთა ლიგის დადგენილების თანახმადო.

ახალი ამბები

→ რუსეთის ხახ. ბანკის მოსამსახურეთათვის სალიკვიდაციო ფულის მიღება. ვინაიდან რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ლიკვიდაცია მოხდა, ამიტომ მოსამსახურეებს რუსეთის ხაზინის ხარჯზე სალიკვიდაციო ფული მიეცემათ. სალიკვიდაციოს მისცემენ თანახმად 1917 წ. 29 ივნისის დროებით მთავრობის დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის მიერ 1917 წ. 1 ივლისის და 1919 წ. 15 აპრილის გამოცემულ კანონებისა. ამ სალიკვიდაციოს 1918 წლის 26 მაისამდე არსებულ ჯამაგირების ანგარიშით მისცემენ.

→ ღალის შეკრება. თანახმად მიწად მოქმედების სამინისტროს ინსტრუქციისა გორის სამაზრო ერობამ ღალის შეკრება სახელმწიფო მამულების გამგეს მიანდო.

→ საბჭოთა წარმომადგენლობის განცხადება. საქართველოში მყოფმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლმა ს. მ. კიროვმა სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების ქონებაზე პრეტენზიები განაცხადა. ეს საკითხი იმიტომ აღიძრა, რომ ბათომში გაგზავნილმა ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სანაზინო განყოფილების უფროსმა კანდელაკმა რუსეთის სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების გამგეს წინადადება მისცა 3 დღის განმავლობაში დაეცალა და გაეწმინდა განყოფილების შენობა და ბინა. ს. მ. კიროვმა განაცხადა, სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების ქონება რუსეთის საკუთრებას შეადგენსო, მაგრამ ფინანსთა სამინისტრო რუსეთის წარმომადგენლის საბუთებს არ დაეთანხმა იმ მოსაზრებით, რომ ამ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფოს ბუნებრივ უფლებას ანხორციელებს.

→ სოციალური დახმარება. ვინაიდან დამფუძნებული კრების მიერ სოციალურ დახმარების შესახებ დამტკიცებულ დროებით წესებში გამოტოვებულია დახმარების მიცემა იმ პირების მშობელთადმი, რომლებიც, ან თავის მოვალეობის აღსრულების დროს, ანდა სამხედრო მოქმედების დროს დაიღუპენ, ამიტომ შრომის სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა დაემატოს ჩამ დროებით წესებს შენიშვნა, რომ სოციალური დახმარება ვრცელდება აგრეთვე ჩამოთვლილ კატეგორიების დაღუპულთა მშობლებზე. ფინანსთა სამინისტრომ, რომელსაც დასკვნისათვის ქონდა გადაცემული ეს პროექტი, თანხმობა გამოაცხადა აღნიშნული შენიშვნების დამატების შესახებ.

→ ომში დაღუპულ და დაჭრილ პირთა მშობლების დახმარება. დამფ. კრების სამხედრო კომისიამ მოიწონა პროექტი დეკრეტისა ომში დაღუპულ და დაჭრილ პირთა მშრომელთადმი მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად 5 მილ. მანეთის გადადების შესახებ.

→ საფონდო ბირჟა. ორშაბათს, 19 ივლისს, ფინანსთა სამინისტროში ტფილისში საფონდო და საქონლის ბირჟის გახსნის საკითხის შესახებ შესდგება ფინ. მინისტ. საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეთ ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი იქნება.

→ ტფილისის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა, რომელიც 18 ივლისისათვის იყო დანიშნული, 25 ივლისისათვის გადაიდვა.

→ კინემატოგრაფი ჯარისკაცთათვის სამხედრო სამინისტროსთან არსებული კულტურულ-განმანათლებელი სექცია ორშაბათიდგან 19 ივლის. აჩვენებს სახალხო კინო თეატრში ტფილისის გარნიზონის ჯარისკაცთა და ოფიცერთათვის ბათუმის შემოერთების ზეიმის სურათებს.

→ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში. ცენტრალურმა საბჭომ საკითხის დიდი ხნის განხილვის შემდეგ პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოდან გამორიცხა მეტყავეთა კავშირი. ამასთანავე საბჭოს შემადგენლობაში მიიღეს მეტყავეთა ახალი კავშირი, რომელიც წინანდელ კავშირს გამოეყო. შემდეგ ცენტრალურმა საბჭომ თავის შემადგენლობაში ჟურნალისტთა კავშირი მიიღო.

სავალდებულო დადგენილება

(გაგრძელება)

§ 21.

ახლად აშენებული უბნებში ან ძველ უბნების გაფართოებაზე, აგრეთვე ახალ ქუჩების გაყვანაზე საჭიროა. რომ იქნეს დაცული შემდეგი წესები:

ა) ქუჩები უნდა იყოს სიგანით არა ნაკლებ 5 საჟ.

ბ) უნდა იყოს სასტიკად დაცული უმაღლესი საზღვარი თანახმად § 2 და სახლებს ქუჩის მხარეზე არ უნდა ჰქონდეს სიმაღლე უმეტეს თვით ქუჩის სიგანის, მხოლოდ ეს სიმაღლე უნდა იყოს შემცირებული 1,65 ს., როდესაც ქუჩებს აქვს სიგანე 5 საჟ.

გ) როდესაც საჭირო იქნება აშენება სახლის უფრო მაღალის, ვიდრე ეს არის წინა მუხლში, დაწესებული მაშინ შენობა უნდა იყოს მოცილებული ქუჩის ხაზისაგან, მანძილზე, რომელიც უდრის უმეტეს სიმაღლის ნახევარს.

დ) თუ სახლის სიმაღლე 5 საჟ. აღემატება (შენიშვნა § 2), სახლი უნდა იყოს კანმოლოებული ყოველი მხრიდან ცალიერი სივრცით, რომლის სიგანე არა ნაკლებ შენობის ნახევარ სიმაღლისაა.

ე) შუა მანძილის სიმაღლე ორ მეზობლის შენობის წინა კედლების შუა იმ შემთხვევაში, როცა ამ შუა მანძილის ფართო არ იქნება გამოყენებული საერთოდ (ორივე მხრისგან), შეიძლება შემცირდეს ამათ სიმაღლეთ ერთ გოჯამდის, ამ მუხლის ძალის ქვეშ ითვლება, როგორც ქუჩების თავისუფალი სიგანე, რომელიც იქნება დანიშნული ბაღისთვის, ეზოსთვის ან სულ არ ექნება შენობები იმ შემთხვევაშიც, როცა მამული იქნება შემოღობილი და არის დანიშნული საზოგადო ხმარებისთვის, თუ რომ ეს შენობა არის დამდგარი შენობის შუბლანის (ფრონტონის) სწვრივ.

§ 22.

აკრძალულია:

ა) არსებულ შენობების სიმაღლას მომატება, როდესაც მათი სიმაღლე უდრის ან აღემატება 5 საჟ.

ბ) შენობის გაფართოება, თუ რომ იმის კონსტრუქცია არ ეთანხმება ამ სავალდებულო დადგენილებათა გადაწყვეტილებებს.

გ) შენობების გაკეთება რა გინდა გვარ ტიპისა, თუ რომ ამ ქუჩების თავისუფალი სიგანე და სახლებ შუა მანძილი შემცირდება იმ ზომის დაბლა, რომელიც არის დამტკიცებული მე-21 მუხლში.

დ) აშენება საერთოდ ყოველი შენობის, რომელიც არ არის ნებადართული ამ წესებით და რომელსაც შეუძლია ასე, თუ ისე დაირღვიოს აქ მოხსენებული წესები.

შენიშვნა: მთავარ ინჟენერს, რომელიც მიწის ძვრისგან დაზარალებულ რაიონში შენობების აღდგენაზე მეთვალყურეობს, უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლება ნებადართოს ადგილობრივ პირობების შესაფერ აშენების და შეკეთების დროს ისეთი კონსტრუქციები, რომელიც ამ დადგენილებაში არ არის მოხსენებული, მაგრამ ამ წესების საერთო აზრს არ ეწინააღმდეგება.

§ 23.

შენობების მდგარობისა და სიმტკიცის გამოანგარიშებაზე უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში:

1) დგარძალური ჭინვა საკუთარ წონისაგან და დატვირთვისაგან გადიდებულ პროცენტებზე, რომელიც იქნება ნაანგარიშევი მიწის ძვრის ბიძგების შედეგები.

2) კრავძალური ჭინვა, გამოწვეულ სეისმიურ ტალღებრივ მოძრაობით უნდა იყოს გამოთქმული აჩქარებებით, რომელიც ნაშენის სიხროს გადაეცემა ორი მიმართულებით (სიგრძე და სიგანე) და ორივე მიმართულებით მოქმედებს.

შენიშვნა: ანგარიშების ფორმულები.

ნაწილი II.

გადაკეთდება.

§ 24.

გადაკეთდება სავსებით ან ნაწილად იმ ადგილას, სადაც წინად შენობები იდგა, რომლებიც რომელიმე მიზეზის გამო, მოისპო, მოხრილი ძირამდის ან გადატანილი უნდა აწარმოოს. თანახმად წინა მუხლის და წესებისა. ნებადართულია ქვემო მოხსენებული გამონაკლისი.

§ 25.

იმ შემთხვევის გარდა, როცა შენობის ფართო მოითხოვს სხვა დანიშნულებას, შენობების გადაკეთება შეიძლება წინა მოსახულობით, მხოლოდ აღდგენილ შენობებს უნდა ჰქონდეს მარტო ერთი სართული იყოს არა უმაღლეს 3 საჟენისა, დუ რომ ეს არ ეწინააღმდეგება ამ წესების 2 და 21 მუხლებს.

(გაგრძელება იქნება).

სასამართლოში

ბალვა მაღლაკელიძისა და სხვების საქმე.

(15 ივლისის სხდომა).

გამოწვეულნი არიან ექსპერტები, რომელნიც ცალკე ოთახში გაჰყავთ.

ალ. პ. ნეიმანი. ბათალიონის კვარტირმეისტერს ნება არა აქვს დივიზიის უფროსთან ფულისთვის წავიდეს ბითალიონის უფროსის დაუკითხავად, აგრეთვე დივიზიის უფროსს ნება არა აქვს, პირდაპირ ბათალიონის კვარტირმეისტერთან დაიჭიროს საქმე ბათალიონის უფროსის გაუგებრად, რაც შეეხება საგუბერნიო ბათალიონს, იგი სამხედრო ნაწილში არ ითვლებოდა და არც სამხედრო სამინისტრო აძლევდა მას რაიმე ფულს.

მოწმე ბიძკ. შამშურინი ამტკიცებს რომ ომიანობის დროს, ან რაიმე საგნების საჭიროების დროს დივიზიის უფროსს ამისი ნება აქვსო.

ამის შემდეგ სასამართლო აქვეყნებს იმ მოწმეთა ჩვენებას, რომელნიც სასამართლოში ვერ გამოცხადდენ და რომელნიც დაკითხული იქმნენ გამომძიებლის მიერ.

ნიე რამიშვილის ჩვენება

1918 წლის სექტემბერში მაღლაკელიძეს, როგორც საგუბერნიო კომისარს 400.000 მან. მიეცა ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც მას, ისე სხვა გუბერნიების კომისრებს წერილობითი ინსტრუქციები არ ჰქონიათ მიცემული იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეხარჯათ ფული. ყველა ამ ხარჯების გაწევა მაღლაკელიძეს შეეძლო დამოუკიდებლად, ხოლო ფორმულობა უნდა დაეცვა იმ აზრით რომ დახარჯულ ფულის ანგარიშებს ეჭვი არ უნდა გამოეწვია. დღიურის მიცემა 150—200 მან. რაზმის აფიცრებზე თელავში ყოფნის დროს მაღლაკელიძეს არ შეეძლო თავის ნებით, აქ მან უფლებებს გადააჭარბა მით უფრო, რომ ეს აფიცრები იმას გარდა, რომ ჯამაგირებს და დღიურებს რომ იღებდნენ, ხაზინის ხარჯითაც იკვებებოდნენ. შესაძლებელია მაღლაკელიძეს, როგორც ახალციხის მაზრის საგანგებო რწმუნებულს კიდეც ჰქონდა ისეთი ხარჯი გაწეული, რომლის შეტანაც ანგარიშებში ამა თუ იმ მოსაზრებით შესაძლებლად ვერ დაინახა მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არ შეეძლო მას ფაქტიურ ანგარიშების შედგენა.

ჩემი პარტიული ამხანაგი ლეო რუხაძეს და მიწათ-მოქმედების დღევანდელი მინისტრი ხომერიკის რეკომენდაციით მაღლაკელიძე დანიშნა ტფ. გუბერნიის კომისრად. ამ დროს ტფილისსა და მის გუბერნიაში სრული ანარქია სუფევდა მაღლაკელიძემ ჯერ როგორც საგუბერნიო კომისარმა და შემდეგ გენერალ-გუბერნატორმა ყურადღება მიიქცია თავის ენერგიული მოქმედებით თელავის მაზრაში. ჩაჩიბაიას მე არ ვიცნობდი და იგი ბათალიონის უფროსად დავნიშნე მაღლაკელიძის რეკომენდაციით. ლომთათიძეს და ნანეიშვილს პირადად ჩემთვის მისი დანიშვნა არ უთხოვნიათ. ჩაჩიბაიას სრულებით არ ვიცნობდი და მახსოვს, რომ სადღაც სოქვეს, ჩაჩიბაია შემოსავლის კვალობაზე არა სცხოვრობსო. ეს მაღლაკელიძესაც გადავეცი საუბარის დროს. მან მითხრა, რომ ჩაჩიბაია მამა და ბიძები მდიდრები ჰყავს, მაგრამ არ შემიმოწმებია ეს ცნობები მართალი იყო თუ არა. ის კარგად ვიცი, რომ ლომთათიძე და ნანეიშვილი სრულიადაც არ სცდილობდნენ, რომ მაღლაკელიძის წინააღმდეგ ავემხედრებინეთ. სახლის ყიდვა ფაჩულიასაგან გავიგე, რომლის ნათესავს ხოშტარიასაც მიცემული ჰქონდა სახლის ყიდვის რწმუნება მაშინ გაგამოირკვა ისიც, რომ ხოშტარიამ 100 ათასი მან. მიიღო ბათალიონის საჭიროებისთვის მაგრამ არაფერი იყიდა და ჩამ ფულით სპეკულიაციას ეწეოდა. ბოლოს ფული არ დააბრუნა (და დაიმალა. ჩაჩიბაია ჩემთან მოხსენებით არც ერთხელ მოსულა მარტო. იგი მაღლაკელიძესთან ერთად მოდიოდა ხოლმე. შთაბეჭდილება ასეთი იყო რომ ისინი მეგობრები იყვნენ. ასე იყო აღდგომამდე, როდესაც მაღლაკელიძე მოვიდა ჩემთან და მომახსენა, ბათალიონში უწესრიგობაა, ჩაჩიბაია უჩემოდ განკარგულებებს ახდენს და საქმეს ვნებსო. ამავ დროს ოსეთში ბათალიონი მიდიოდა. მაშინ მაღლაკელიძე მოვიდა ჩემთან და განაცხადა, ჩაჩიბაია ჩემს ბრძანებას არ ემორჩილება და ოსეთშა წასვლაზე უარს ამბობსო. მეორე დღეს ჩაჩიბაია თანამდებობიდან გადავაყენე. მის ადგილას სოღორაშვილი დავნიშნე. ხმები მაღლაკელიძის მიერ სახლის ყიდვის შესახებ უკვე მოდიოდა ჩემამდე, მაგრამ ფიქრადაც არ მომსვლია, რომ აქ რაიმე ბოროტმოქმედება იქნებოდა მაღლაკელიძის მხრით. მაღლაკელიძის წასვლის შემდეგ ბათალიონში ქურდობა მოხდა ფულის ყუთიდან წაიღეს 126,000 მან. ამ საქმის გამო შეიპყრეს ხაზინადარი შენგელაია. გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ბათალიონში გაფლანგულია 400,000 მან. ამ ფულის მითვისებაში ჩაჩიბაია გამოტყდა და მონაწილეებად დაასახელა შენგელაია, იუშკევიჩი და მაღლაკელიძე. ამ ახალმა გარემოებამ მაიძულა ჩემს ამხანაგთან ერთად სასწრაფოდ გადამეწყვიტა საკითხი მაღლაკელიძის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და განთავისუფლება, რათა ამით დაეფარა ბოროტმოქმედების კვალი. მაღლაკელიძემ რამდენჯერმე ,მთხოვა სამსახურიდან განთავისუფლება. ითხოვდა საზღვარ-გარედ გაგზავნასაც სწავლის დასამთავრებლად. ეს იყო მაშინ, როდესაც დამოკიდებულება გამწვავდა მისსა და ჩაჩიბაიას შორის და ყოველ წამს მოლოდინი ჰქონდა იმისა, რომ ჩაჩიბაია მას გასთქვამდა. მე არ მიმიცია თანხმობა მაღლაკელიძისთვის, რომ აზნაურავი ახალციხე-ახალქალაქის მაზრების რწმუნებულად დაენიშნა და თავისი რწმუნების ასეთს გადაცემას მე უკანონოდ ვთვლი. არც ის შეეძლო მაღლაკელიძეს, რომ ქრისტიანთა და მუსულმანთა შერიგების საქმეში რწმუნებულად დაენიშნა აზნაურავი. ასეთი მისი განკარგულება უკანონოა. შინაგან საქმეთა მინისტრად ვარ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან. ამავ თანამდებობაზე ვიყავი ამიერ-კავკასიის მთავრობის დროს.

პ. ჭიჭინაძის ჩვენება

მე ნდობით უცქეროდი მაღლაკელიძეს, თუმცა კარგად არ ვიცნობდი. შემდეგში კი აზრი შევიცვალე, როცა სახლის ყიდვა გავიგე და აგრეთვე დავრწმუნდი, რომ იგი უკანონო რეკვიზიციას ხელს უწყობდა. ოსე-

თში ბათალიონის წასვლისას გავიხსენე დევდარიანის ისტორია, რომელსაც მაღლაკელიძის სიტყვით შეეძლო მოეკლა ჩაჩიბაია და ნება დავრთე ჩაჩიბაიას ტფილისში დარჩენილიყო და ბათალიონს არ გაჰყოლოდა, რათა იქ მართლა არ მოეკლათ, რაიც მაშინ შესაძლებლად მიმაჩნდა.

ბენია ჩხიკვიშვილის ჩვენება

მე ისე მქონდა გათვალისწინებული რომ ფული უნდა დახარჯულიყო ანარქიულ გამოსვლების ჩაქრობაზე და იმ საქმეებზე, რომელსაც კავშირი აქვს ანარქიასთან ბრძოლასთან. ამ დროს კი იძულებული ვიყავი ისეთი ხარჯები გამეწია, ჩემის მოქმედების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრს მოვახსენე და ყველა ჩემი მოქმედება მოიწონა და მიზანშეწონილად იცნო. მოსამსახურეებს დღიურებს ვაძლევდი 15-დან 50 მანეთამდე. დღიურს მეც ვიღებდი. ვხელმძღვანელობდი საერთო ნორმებით. როგორც მინისტრმა გადმომცა, ეს ანგარიშები წარდგენილი იქნება დამფ. კრების საფინანსო კომისიაში და დამტკიცებულიც იქნება, რადგანაც მაშინ ისეთი დრო იყო, რომ საკასო წესების დაცვა არ შეიძლებოდა. რაც შეეხება მაღლაკელიძეს, მე მას მეტად კარგის მხრით ვიცნობდი, იგი ჩემთან იყო ქუთაისის მაზრის კომისრად და მე თიოონ მომხრე ვიყავი მისი გადმოყვანისა ტფ. გუბერნიის კომისრად.

ნოე ხომერიკის ჩვენები

მე იგი გავიცანი ახალციხეში, სადაც დიდი ტაქტი, ხასიათის სიმტკიცე, გამბედაობა და რესპუბლიკისთვის დიდი თავდადება გამოიჩინა. მას ახალციხეში მფრინავი რაზმი ჰყავდა. მახსოვს გამოწვეულ იქმნა გვარდია. არ ვიცი რა კრედიტიდან იქმნა გაღებული ფული გვარდიის შესანახად, მაგრამ ის კი გადადაჭრით შემიძლიან ვთქვა, რომ მის ხარჯს გაიღებდა მაღლაკელიძე, რომლის ხელშიაც ამ დროს იყო მთელი სამხედრო და სამოქალაქო ძალა-უფლება. მე თვით წამოვაყენე მაღლაკელიძის კანდიდატურა ტფ. საგუბერნიო ვომისარის თანამდებობაზე, რადგანაც მოწმე ვიყავი მისი ნაყოფიერ მუშაობისა ახალციხეში.

კითხულობენ აგრედვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ ვიცე-დირექტორის ნანეიშვილისა და ტფ. საგუბერნიო კომისარის ყოფილ თანაშემწის კალანდარიშვილის ჩვენებას.

კულტურული მუშაობა სანაპირო ჯარში

ყველაზე მეტი მნიშვნელობა კულტურულ მუშაობას სანაპირო ჯარებში აქვს, და სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება სამხ. სამინისტროს კულტურულ განმანათლებელმა სექციამ და ცდილობს რაც შეიძლება მეტი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები მიაწვდინოს საზღვრებზე მდგომ ჯარის კაცებს. მე შემთხვევა მქონდა გავცნობოდი № სანაპირო რაზმს, რომელიც არტაან ტროიცკოის საზღვრებს იცავს. ყველგან, სადაც კი მივედი საზღვრებზე ჯარის-კაცები ხალისით კითხულობენ სექციის მიერ გაგზავნილს ჟურნალ გაზეთებს. მართლაც რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალ-გაზეთების მიწოდებას ჯარის კაცებისათვის ისეთ მივარდნილ ადგილებში, რომელიც № სანაპირო რაზმს უკავია. ყველგან, სადაც მივდიოდი, ვმართავდი საუბრებს და ვურიგებდი დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიის მიერ გატანებულ ბროშიურებს, რომელშიაც ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრო „ქართველნა მუსულმანმა", სადაც აღწერილია ისტორიული ცნობანი ჩვენის ძმების მაჰმადიან ქართველებზე. იყო შემთხვევა, როდესაც მე დავესწარი არტაანის ოლქის სოფ. ქვათანაქებში, სადაც მხოლოდ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ერთი ჯარის კაცი მოსაზღვრე რაზმისა თათრულად უხსნიდა ქართველ მაჰმადიანებს ხსენებულ ბროშიურის შინაარს, რამაც კმაყოფილება გამოიწვია დამსწრე ქართველ მაჰმადიანებში. მონაპირე ჯარის-კაცების სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდესაც ისინი ღებულობენ სულიერ საზრდოს დამაკმაყოფილებელს. სანაპირო ჯარების ბინაზე მნახველი ნახავს სხვა და სხვა ბროშიურებს, ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, რომელსაც ხალისით კითხულობენ სადარაჯოზე მყოფი გმირები, აქ ნახავთ ბ-ნ ტ- ართმელაძის „მარკოზას", რომელიც ჯარის კაცების ცხოვრებაზეა დაწერილი და რომელსაც ჯარის კაცები ხალისით კითხულობენ. საერთოდ უნდა აღინიშნოს რომ საზღვრებზე კულტურული მუშაობა დუღს, რომელსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქ აქვს. ჩვენ მონაპირე ჯარის კაცებს მცხოვრებლების საერთო სიყვარული და ნდობა დაუმსახურებიათ, სადაც კი ისინი მდგარან, ყველგან შეხვდებით ისეთ ჯარის-კაცს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებელთა ენაზე ლაპარაკობს. იგი უკითხავს და უთარგმნის ჟურნალ-გაზეთების შინაარს მცხოვრებლებს. სანაპირო უფროსის ბრძანებით, სავალდებულოა წერა-კითხვის სწავლება სანაპირო ჯარებში და ეს უკანასკნელიც სულ ცოტა ხანში იქნება განხორციელებული უკეთუ სასწავლო ნივთები დროზე იქნება დაგზავნილი. ქ. ახალციხეში. სადაც შტაბია № სანაპირო რაზმისა მოეწყო ცენტრალური ბიბლიოთეკა—სამკითხველო, რომელიც მიაწვდის ჟურნალ-გაზეთების, წიგნებს და ბროშიურებს არტაან ტროიცკოს ხაზზე მდგომ მონაპირე ჯარისკაცებს. აქვე შესდგა სამკითხველოს გამგეობა, რომლის წევრებია: მაიორი ქუთელია, (თავმჯდომარე) კაპიტანი მშვიდობაძე, მოხელე არჩილ ავალიშვილი და ჯარის კაცი იოსებ გურგენიძე, გამგეობამ მიზნათ დაისახა იზრუნოს ყოველ მხრივ რაზმში კულტურულ განმანათლებელ მუშაობისათვის. № სანაპირო რაზმის დათვალიერების შემდეგ კმაყოფილი ჯკან დავბრუნდი ტფილისისაკენ იმ იმედით, რომ კულტურული მუშაობა ხსენებულ რაზმში ეხლა უფრო გაცხოველდება.

ალ. გორგაძე.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა გირავნობის ფურცელი საბურთალოზე მდებარე ადგილს, მარიამ ვასლის ასული ბობელიოვის სახელზე, მიღებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსისაგან 1914 წ. რეესტრით № 2088. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1867 3—2

დაიკარგა მოწმობა № მ. ს. მახარაძის სახელზე, რომ მისი სარჩენი არიან მისი მამა, მოსამსახურე და ობოლი ძმისწული, მიღებუთემის საზოგადოებიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1870 3—2

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1920 წლ. 28 ივნისის დადგენილების თანახმად 951 მუხ. სისხლის სამარ. წესდებით ეძებს ვასილ გიორგის ძე ატათაშვილს, ალექსი კონსტანტინეს ძე ალავერდაშვილს, ალექსი ნიკოლოზის ძე ატალიშვილს, სანდრო ისააკის ძე ალავერდაშვილს ნიკოლოზ კუპრაშვილს (სიღნ. მაზრა) სოფ. ტიბანი, რომელთაც ბრალი ედება მე-128 და 133 მუხ. XXII წ. ს. დ. კ. 1869 წ. 3. 4. ყველა ვინც იცის სად იმყოფებიან ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში (სასამართ. ქუჩა, 32). 1912 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში პოლკოვნიკ ალექსანდრე იოსების ძე გოგიტინიძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ლიუდმილა პეტრე კლემენტევის ასული გოგიტინიძისა, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1910 წელსა, უკვალოდ დაიკარგა 1913 წლიდან, რის გამო აღნიშნული ალექსანდრე გოგიტინიძე თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგული ლიუდმილა პეტრე კლემენტევის ასულის გოგინიტიძის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკამი არსებულ კანონთა ძალით, ვანუცხადონ სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 1830 3—2

სომეხ-გრიგორიანთა საეპარქიო კონსისტორია, თანახმად ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანულ სინოდის დავალებისა, აუქმებს ნოტარიალურ მინდობილობას, მიცემულს აღნიშნულ სინოდის მიერ, ეჩმიაძინის მონასტრის მამულის გამგებლობის შესახებ ლევან ტერ-ავეტიკოვისადმი 1849 3-3

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1920 წ. 28 ივნისის დადგენილებისა თანახმად 951 მუხ. სისხლის სამ. წესდება, უძღვება ქ. ხონის მცხოვრებელს მათე სიმონის ძე ბახტაძეს რომელსაც ბრალი ედება მე 128 და 133 მუხ. XXII წ. ს. დ. კ. 1869 წ. ვამ. 4 ყველა ვინც იცის სად იმყოფება იგი ვალდებთლია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო რომელიც იმყოფება ქალ. ტფილისში. სასამართლოს ქუჩა № 32. 1813 3—3

დაიკარგა კოოპერატივ «მეურნის» მიერ გაცემული საწევრო წიგნაკი № 1795 იბრაგიმ მაჰამათ ოღლი კაჟლაევის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1863 3—2

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 17 ივნისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული გიორგი, იგივე გრიშა, ფარნაოზის ძე, იგივე ფარნას ძე გვაჩია მიერ ეპიფანე თეოდორეს ძე ჭოჭუაზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე დაბა ახალ სენაკში შენობით ზომით 146 კ. ს. 700000 მანეთად.

სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 2800 მან.

მთავარი ამონაწერი 700 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 17 ივლისს 1920 წ. 733 1—1

თავმჯდომარე ტფილისის საოლქო სასამართლოსი, თანახმად ნოტარიალური დებულების დროებით წესის მე-10 მუხლისა, იწვევს პირთ, მსურველთ დაიჭირონ ქ. ახალციხის უმცროს ნოტარიუსის თანამდებობა. მსურველნი მოვალენი არიან შემოიტანონ სათანადო თხოვნა შესაფერი დოკუმენტებით; ვინც მათგანი არ ირიცხება ტფილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიუსად და არა აქვს მოწმობა შესაფერი გამოცდის ჩაბარებისა, მიცემული აღნიშნულ სასამართლოს მიერ უნდა გამოცხადდეს სასამართლოში ამა წლის 16 აგვისტოს დილის 12 საათზე შესაფერ გამოცდაზე. თანახმად რესპუბლიკის 1918 წ. 1-ლ ოქტომბრის კანონისა. მთხოვნელთათვის საჭიროა ცოდნა სახელმწიფო ენისა იმდენად რომ გამოცდის დროს მათ შესძლონ ქართულ ენის აქტის შედგენა და საქმის წარმოება, ამისათვის ამ საგანზე გამოცდა სავალდებულოა იმათვინაც, ვინც ირიცხება ნოტარიუსად ტფილისის ოლქში. 757 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 19 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა 16 ენკენისთვეს 1914 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული მურად ასვატუროვის ძე და რეშო კირაკოსოვის ძე კირაკოსიანცების მიერ აირაპეტ და ოგანეზ ხაჩატუროვის ძეთ კარამანიანცებზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე 3 უბანში ქ. ბათომისა, ვლადიკავკაზსკის ქუჩაზე

ზომით 60 $^{80}/_{100}$ კ. ს. 900 მანეთად.

სიმტკის ბაჟი გადახდილია 1231 მ. 48 კ.

მთავარი ამონაწერი 320 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 19 ივნისს 1920 წ. 733 1—1

თავმჯდომარე ტფილისის საოლქო სასამართლოსი, თანახმად ნოტარიალური დებულებისა დროებით წესის მე-80 მუხლისა, იწვევს პირთ, მსურველთ დაიჭირონ ქ. ტფილისის უმცროს ნოტარიუსის თანამდებობა. მსურველნი მოვალენი არიან შემოიტანონ სათანადო თხოვნა შესაფერი დოკუმენტებით; ვინც მათგანი არ ირიცხება ტფილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიუსად და არა აქვს მოწმობა შესაფერი გამოცდის ჩაბარებისა, მიცემული აღნიშნულ სასამართლოს მიერ უნდა გამოცხადდეს სასამართლოში ამა წლის 14 აგვისტოს დილის 12 საათზე შესაფერ გამოცდაზე. თანახმად რესპუბლიკის 1918 წ. 1-ლ ოქტომბრის კანონისა. მთხოვნელთათვის საჭიროა ცოდნა სახელმწიფო ენისა იმდენად, რომ გამოცდის დროს მათ შესძლონ ქართულ ენაზე აქტის შედგენა და საქმის წარმოება, ამისათვის ან საგანზე გამოცდა სავალდეაულოა იმათთვინაც, ვინც ირიცხება ნოტარიუსად ტფილისის ოლქში. 752 1—1

მომრიგებელი მოსამართლე ხარაგოულის უბნის, შორაპნის მაზრისა იწვევს გარდაცვალებულ 10 მაისს 1920 წ. სულხან შაქარას ძე ბერაძის მემკვიდრეებს, რათა მით განაცხადონ თავისი უფლებს მის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე ექვსი თვის განმავლობაში დღიდან განცხადების დაბეჭდვისა 759 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი გაცემული ტფილისის პოლიციმეისტრის სამმართველოდან. 1902 წ. № 216 დაზა ისააკის მოსეს ძე ველერის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1862 3—2

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 1920 წ. ივლისის 19-ს ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია შეჯიბრება ქალაქის მაღაზიის, რომელიც მდებარეობს ერევნის მოედანზე, იჯარით აღების შესახებ. პირობების გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობაში. 756 2—2

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, ჩხოროწყუს უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის მცხოვრებ ს. ჩხოროწყუში, ზუგდიდის მაზრის, მოქალაქე ივანე ბურდღუს ძე თოდუას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება თოდუას ქონებაზე მე 1241 მ, აღნიშნულ ვადაში, 754 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მცხ. ქ. ჭიათურაში სოგრატ სიმონის ძე ლეჟავას, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მის დანაშთენ ქონებაზე მე 1241 მუხ. X ტ. ნაწ. 1 აღნიშნულ 6 თვის ვადაში. 755 1—1

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1920 წ. 28 ივნისის დადგენილებისა თანახმად 951 მუხ. სისხლის სამართლის წესდებისა ეძებს სოფ. მელექედურის ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნიასენა თავართქილაძეს. ყველა ვინც იცის სად იმყოფება იგი ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს რომელიც იმყოფება ქალ. ტფილისში სასამართლოს ქუჩა № 32 1814 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 1079, მიღებული ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან გიორგი ფილიპეს ძე მელივას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1872 3—1

დაიკარგა პასპორტი № 2257, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების ბარათი, მიღებული სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან მნაცაკან გრიგორის ძე მანუკოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1873 3—1

დაიკარგა რესტორანის ნებართვა № 1017 ქოჩორიანცის და ბეგიევის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. იანვრის 26-ს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1875 3—1

დაიკარგა 8 ნავთის გაგზავნის ნაკლადნოების დუბლიკატები №№ 23255, 29256, 23257, 23258, 23259, 23260, 23261 და 23263 პეტროგრადი კავკასიის ნავთის მრეწველთა ამხანაეობის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1881 3—1

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის სახელზე, მიღებული ქუთაისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიიდან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1876 3-1

დაიკარგა ნამსახურობის ნუსხა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის მიხეილ ფრანცის ძე რონჩენკის სახელზე, მიღებული ტფ. ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსისაგან. 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1878 3—1

დაიკარგა საოჯახო პირადობის მოწმობა № 18263 გრიგოლ სერგოს ძე ამირანიანის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1879 3—1

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს რომ მიმდანარე წლის 24 ივლისს დანიშნულია შეჯიბრება ფოთის გარნიზონისთვის 400 საჟენი სამღერიანი ზომის შეშის დადგმის შესახებ.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობასთან ერთად 10 პროცენტი განცხადებულ ფასისა.

შეჯიბრება მოხდება ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციის კანცელარიაში და ფოთის გარნიზონის უფროსთან დილის 12 საათზე. პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმისა დისტანციის კანცელარიაში. 1837 3—2

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.